რეფლექსია

რესურსი-10^2 კლასის გენეალოგია

რესურსი შექმნილია მე-10^2 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ.საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

რესურსი გენეალოგიის შესახებ მეათე კლასისათვის შეიქმნა სწორედ მაშინ, როდესაც გადავედით თემაზე „გენეალოგია", რომელიც შეისწავლის პიროვნებათა წარმოშობას, ცალკეულ საგვარეულოთა ისტორიას, ავლენს ნათესაურ კავშირებს და ადგენს საგვარეულო ნუსხებს. ეს დისციპლინა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა წოდებათა პრივილეგიების ჩამოყალიბებასთან ერთად, ამიტომ სწორედ პრივილეგირებული წოდებისთვის იქმნებოდა გენეალოგია.თუმცა მე გადავწყვიტე მეათე კლასის მოსწავლეებისათვის მომემზადებინა ყველა მოსწავლის გვარის ისტორია, რომელიც ერთგვარი სიურპრიზი იქნებოდა მათთვის. ამით ამ კლასის ერთგვარი გენეალოგიური ცნობარი შევქმენი.

მიზანი-მოსწავლეები შეძლებენ კონკრეტულ ისტორიის დამხმარე დისციპლინასა და მის ცალკეულ მიმართულებებზე მსჯელობას .

ესგ-ის სტანდარტი:

-ისტ.X.2. მოსწავლეს შეუძლია ისტორიის დამხმარე დისციპლინაზე მსჯელობა და მათი სპეციფიკის განსაზღვრა;

რესურსი სავსებით შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, რადგან მოსწავლეებს კონკრეტული წარმოდგენა შეექმნათ ისტორიის დამხმარე დისციპლინაზე-გენეალოგიაზე. სამიზნე ჯგუფის თავისებურებები, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იყო, რადგან არავითარი სიძნელე ამ რესურსს არ ახლდა, იოლად აღქმადი და სავსებით გასაგები იქნებოდა სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეებისათვის.

ამ რესურსის გამოყენება მშრალად ,მოსწავლეების ჩართულობის გარეშე, რა თქმა უნდა, საინტერესო ვერ იქნებოდა, სწორედ ამის გამო, ჩემ მიერ მოძიებულ მასალისათვის მოსწავლეებს უნდა დაერთოთ საგვარეულო ნუსხები , რომელიც შეეძლოთ წარმოედგინათ როგორც ცხრილის სახით, ასევე ნახატის სახით(მაგ. საგვარეულო ხის სახით) , ან მიეცათ ერთგვარი ცნობარის სახე.სწორედ ასე უფრო ეფექტურად მოვახდენდი მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

რესურსის გამოყენება ამ კონკრეტულ გაკვეთილზე მოხდა შემდეგი სახით:

- მოსწავლეებს ვკითხე, ხომ არ იცოდნენ თავიანთი გვარის წარმოშობის ისტორია;თუ გააჩნდათ ამის შესახებ ინფორმაცია, კლასის წინაშე უნდა წარედგინათ ეს ისტორია(როგორც აღმოჩნდა,არცერთ მათგანს არ გააჩნდა ეს ინფორმაცია);
- ჩემ მიერ შედგენილ გენეალოგიურ ცნობარში თავისი გვარის წარმოშობის ისტორიას კითხულობდა შესაბამისი გვარის მოსწავლე;
- მოსწავლეებს ამის შემდეგ ვთხოვე ამავე ფურცლებზე დაეტანათ თავიანთი საგვარეულო ნუსხა, მათი ცნობადობა საკითხის(წინაპრების) შესახებ სადამდეც მიდიოდა (ამით გენეალოგიის სხვა მიმართულებაზე გადავედით);
- შემდეგ ვთხოვე მოეყოლათ თავიანთი წინაპრების საგმირო საქმეების შესახებ(ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გენეალოგიის პირველი

პროფესიონალისტებისათვის –ჰეროლდებისათვის, რომ წარმოეჩინათ კონკრეტული პიროვნებების სახელი მათი დამსახურების მიხედვით) და ერთგვარი ჰეროლდების როლი შეესრულებინათ(ამ სახის ინფორმაცია მოსწავლეებს გააჩნდათ);

- ბოლოს ვთხოვე ჩამოეყალიბებინათ ერთი წინადადებით, თუ რა ცოდნა შეიძინეს ამ კონკრეტულ გაკვეთილზე;
- ის ინფორმაცია, რაც დააკლდათ მოსწავლეებს საკითხის შესახებ ნაკლებინფორმირებულობის გამო, უნდა შეევსოთ სახლში (გენეალოგიური ნუსხა, საგმირო საქმეები...).

ამ რესურსის გამოყენება შეუძლიათ მოდიფიცირებული სახით ყველა კლასის დამრიგებელს,რომ შექმნან თავიანთი სადამრიგებლო კლასის გვარის ისტორია შესაბამისი ნუსხებით. შეუძლია გამოიყენონ ისტორიის მასწავლებლებმა ამ თემის შესწავლის დროს(რა თქმა უნდა, მოარგოს კონკრეტული კლასის მოსწავლეების გვარებს),ან აიღონ ერთი გვარის ისტორია და გენეალოგიის ყველა მიმართულებით წარმოადგინონ მოსწავლეებთან ერთად.(ნათესაური კავშირები, საგვარეულო ნუსხები, საგვარეულოთა ისტორია, საგმირო ისტორიები და ა. შ.). შეიძლება შეიქმნას სკოლაში ყველა მოსწავლის გვარის ისტორია ერთიან მთლიანობაში.

აქტივობები ისე იყო დალაგებული, რომ ყველა ეტაპზე მოსწავლეთა ჩართულობას მოითხოვდა, თანაც ყველა მოსწავლისას.

ამ გაკვეთილზე მოხდა შემდეგი უნარების განვითარება:

- ინფორმაციის დალაგების(გენეალოგიური ნუსხების შექმნა);
- კონკრეტული ფაქტების კლასიფიცირების და გადმოცემის;
- არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანის;
- მოსმენისა და ჩანაწერების გაკეთების;
- შეფასების;

პრობლემა რესურსის გამოყენების დროს არ დაფიქსირებულა,თუმცა არ მოხერხდა ოთხი მოსწავლის გვარის ისტორიის მოძებნა და ,სამწუხაროდ, არც მათ გააჩნდათ ამის შესახებ ინფორმაცია.

ამ რესურსის გამოყენებამ მაჩვენა, რომ თუნდაც მცირეოდენი სიახლის შეტანა გაკვეთილზე და თანაც თუ ეს სიახლე მოსწავლეებისათვის საინტერესოდ არის წარმოდგენილია მათივე ჩართულობით, რა თქმა უნდა, შედეგის მიღებაც გარანტირებული იქნება. ეს კი ყველა მასწავლებლის მთავარი ორიენტირი უნდა იყოს ყველა გაკვეთილზე.

რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:

https://drive.google.com/file/d/1Uht1vozUJ3-DqlwIywF53gAHIv5baz-E/view